

8

გეოგრაფია

ნ. ელიზბარაშვილი, ზ. დავითაშვილი



ნოდარ ელიზბარაშვილი
ზურაბ დავითაშვილი

გეოგრაფია

VIII კლასი

მოსწავლის წიგნი

ეროვნული
ზაალიანი

გეოგრაფია
VIII კლასი

ნოდარ ელიზბარაშვილი
ზურაბ დავითაშვილი

რედაქტორები: **იამზე ეცეტაძე**
პედაგოგიკის დოქტორი
დარეჯან ფაღავა
პედაგოგი

კომპიუტერული
უზრუნველყოფა: **ნუგზარ არჩემაშვილი**

© გამომცემლობა „კლიო“ 2012
© გამომცემლობა „მერიდიანი“ 2012
© ნ. ელიზბარაშვილი, ზ. დავითაშვილი, 2012

ყველა უფლება დაცულია

Nodar Elizbarashvili
Zurab Davitashvili
GEOGRAPHY
8th Grade Textbook

გამომცემლობა „კლიო“
აღმაშენებლის გამზირი 181, თბილისი, 0112, საქართველო
ტელ.: (+995 32) 234 04 30
E-mail: book@klio.ge
www. klio. ge

გამომცემლობა „მერიდიანი“
ალ. ყაზბეგის გამზ. 47, თბილისი, 0112, საქართველო
ტელ.: (+995 32) 239 15 22

ISBN 978-9941-415-93-7

შინაარსი

I თავი. გეოგრაფიული მდებარეობა

1.1. გეოგრაფიული მდებარეობა და საზღვრები 5
1.2. ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობის შეფასება 7
1.3. გეოგრაფიული მდებარეობის როლი ქვეყნების განვითარებაში .9
1.4. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა 12
1.5. გეოგრაფიული ბარიერები და საზღვრები 14

II თავი. პოლიტიკური რუკა

2.1. პოლიტიკური რუკის ფორმირება 17
2.2. თანამედროვე პოლიტიკური რუკა. სახელმწიფოთა კლასიფიკაცია 20
2.3. სახელმწიფოთა მმართველობის ფორმები და ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობა 22
2.4. ჩრდილოეთისა და სამხრეთის (მდიდარი და ღარიბი) ქვეყნები 25

III თავი. მოსახლეობა

3.1. მოსახლეობის დინამიკა: ბუნებრივი მოძრაობა 28
3.2 მოსახლეობის დინამიკა: მექანიკური მოძრაობა 31
3.3. მოსახლეობის შედგენილობა (სტრუქტურა) 34
3.4. მოსახლეობის რასობრივი, ეთნიკური და რელიგიური სტრუქტურა 36
3.5. მოსახლეობის ტერიტორიული განაწილება, სიმჭიდროვე და განსახლების ფორმები 40
3.6. ურბანიზაცია და ქალაქების გეოგრაფია 43

IV თავი. ეკონომიკა

4.1 ეკონომიკის სტრუქტურა 46
4.2. სოფლის მეურნეობა 49
4.3. მრეწველობა 51
4.4. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა 54
4.5 ვაჭრობა და მომსახურეობის სფერო 57
4.6. ტურიზმი და საკურორტო მეურნეობა 59
4.7. საერთაშორისო ეკონომიკური კავშირები 62
4.8. მდგრადი განვითარება 65
4.9. ეკონომიკური განვითარების დონე 67

V თავი. ბუნება და საზოგადოება

5.1. გეოგრაფიული გარემო და საზოგადოების განვითარება 69
5.2. ბუნება და მოსახლეობა 71
5.3. ბუნება და მეურნეობა 73
5.4. ბუნებრივი გარემო და ომი 76

VI თავი. კონტინენტების გეოგრაფია

6.1. მსოფლიოს რეგიონები. 79
6.2. აფრიკა 82
აფრიკის ღირსშესანიშნაობები 93
6.3. ჩრდილოეთი ამერიკა 95
6.4. სამხრეთი ამერიკა 110
სამხრეთ ამერიკის ღირსშესანიშნაობები 123
6.5. ავსტრალია და ოკეანეთი 125
ავსტრალიის ღირსშესანიშნაობები 138
6.6. ევრაზია 141
ევრაზიის ღირსშესანიშნაობები 155
6.7.ანტარქტიდა 157

VII თავი. ოკეანეების გეოგრაფია

7.1. წყნარი ოკეანე 160
7.2. ატლანტის ოკეანე 163
7.3. ინდოეთის ოკეანე 166
7.4. ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანე 169

VIII თავი. კავკასიის გეოგრაფია

8.1. გეოგრაფიული მდებარეობა, რელიეფი და სასარგებლო წიაღისეული 172
8.2. კავკასიის ჰავა და შიგა წყლები 176
8.3. შავი და კასპიის ზღვები 179
8.4 კავკასიის ცოცხალი სამყარო ..181
8.5. პოლიტიკური რუკა და ძირითადი რეგიონები 185
8.6. მოსახლეობა 189
8.7. მეურნეობა 193
კავკასიის ღირსშესანიშნაობები 197

II თავი. პოლიტიკური რუკა

2.1. პოლიტიკური რუკის ფორმირება



ნახ. 2.1.1. სტრაბონის რუკა. (I საუკუნე)

მსოფლიოს პოლიტიკური რუკის ფორმირება ხანგრძლივი ისტორიული პროცესია. იგი საუკუნეების მანძილზე მუდმივ ცვლილებებს განიცდიდა. იქმნებოდა ახალი სახელმწიფოები, ქრებოდა ძველი, ხდებოდა სხვადასხვა სახელმწიფოების გაერთიანება, ან პირიქით, ერთიანი სახელმწიფოს დაშლა. ყოველი ისტორიული ეპოქის პოლიტიკური რუკა იმ პერიოდისთვის დამახასიათებელი პროცესების თავისებური სარკეა.

ძველი მსოფლიოს პოლიტიკური რუკის ძირითადი თავისებურებაა, რომ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა პრიმიტიული საზოგადოების ანუ პირველყოფილი-თემური წყობილების დონეზე იმყოფებოდა. მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმე რეგიონი გამოირჩეოდა, სადაც პირველი ცივილიზაციები ჩაისახა და ძლიერი მონათმფლობელური სახელმწიფოები ჩამოყალიბდა. ამგვარი იყო ეგვიპტე და შუამდინარეთი, სადაც პირველი სახელმწიფოები შეიქმნა (შუმერი, ბაბილონი, ასურეთი). მოგვიანებით სახელმწიფოები გაჩნდა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე (სირია, ფინიკია, პალესტინა) და მცირე აზიაში (ხეთების სამეფო, ურარტუ). უძლიერეს იმპერიებს წარმოადგენდნენ სპარსეთი, ძველი ინდოეთი

ნახ. 2.1.2. რომის იმპერია

ლექსიკონი

რესპუბლიკა – *სახელმწიფო მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს ირჩევენ გარკვეული დროით.*

ერი-სახელმწიფო – *თანამედროვე სახელმწიფოს ტიპი, როცა იგი წარმოადგენს მოქალაქეთა ერთობას (ერს) და გამოხატავს მის ინტერესს. განსხვავდება სახელმწიფოთა ადრე არსებული ტიპისაგან, რომელიც მონარქს, დინასტიას ან ეკლესიას განასახიერებდა. ერ-სახელმწიფოში და ყველა მოქალაქე თავს მიიჩნევს ერთი ერის წარმომადგენლად, მიუხედავად იმისა თუ ვინ არის იგი ეთნიკურად.*

მილიტარიზაცია – *სახელმწიფოს პოლიტიკა მიმართული შეიარაღების ზრდისაკენ, რათა სამხედრო ძლიერების გზით მიაღწიოს პოლიტიკურ მიზნებს.*

ტოტალიტარიზმი – *სახელისუფლებო ჯგუფის ან პარტიის ერთპიროვნული მმართველობა.*

და ძველი ჩინეთი. ევროპაში კი უმაღლესი ცივილიზაციის ორი ცენტრი არსებობდა: საბერძნეთის ქალაქი-სახელმწიფოები და რომი. I საუკუნისთვის, როცა რომის რესპუბლიკა იმპერიად გარდაიქმნა, იგი ორ კონტინენტზე გადაჭიმული უზარმაზარი სახელმწიფო იყო.

შუა საუკუნეების (V–XVI საუკუნეები) მსოფლიოს პოლიტიკური რუკისთვის დამახასიათებელია სახელმწიფოთა უკიდურესი დაქუცმაცებულობა. ათასობით წვრილ-წვრილი სამეფო, სამთავრო, სათავადო, საჰერცოგო, სახანო თუ საფაშო მუდმივ ურთიერთბრძოლასა და ქიშპობაში იყო. ისინი იტაცებდნენ ერთმანეთის ტერიტორიებს ან იშლებოდნენ. პოლიტიკური რუკა მუდმივ ცვლილებას განიცდიდა. ამ პერიოდისთვის დამახასიათებელი იყო უზარმაზარი იმპერიების წარმოქმნაც, რომლებიც შიშის ზარს სცემდა მეზობლებს. შუა საუკუნეების იმპერიებიდან აღსანიშნავია ბიზანტია, არაბთა ხალიფატი, სელჯუკთა სახელმწიფო, მონღოლთა ულუსი, ოსმალეთის იმპერია და სხვ.

ახალი პერიოდის (XVII-XIX საუკუნეები) პოლიტიკური რუკის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია ***ერი-სახელმწიფოების*** წარმოქმნა და ფეოდალური სახელმწიფოების შეცვლა ბურჟუაზიული ქვეყნებით. მსოფლიოში გაბატონებული მდგომარეობა იმ ქვეყნებმა დაიმკვიდრეს, სადაც ადრე მოხდა ბურჟუაზიული რევოლუცია და კაპიტალიზმი გაბატონდა. XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან მსოფლიო შევიდა იმპერიალიზმის ეპოქაში, რამაც თავისი ასახვა ჰპოვა მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე. გამოიკვეთა რამდენიმე მძლავრი იმპერიალისტური სახელმწიფო (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, ამერიკის შეერთებული შტატები, რუსეთი, ავსტრია-უნგრეთი, იტალია, იაპონია და სხვ.), რომლებმაც თითქმის მთლიანად გადაინაწილეს მსოფლიო და კოლონიებად აქციეს აზიის, აფრიკისა და ოკეანეთის უზარმაზარი ტერიტორიები. შეურიგებელმა წინააღმდეგობამ იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის გამოიწვია პირველი მსოფლიო ომი, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა მსოფლიოს პოლიტიკური რუკა.

უახლესი პერიოდი (1918 წლის შემდეგ) სამ ქვეპერიოდად იყოფა. *პირველი ქვეპერიოდის (1918-1945 წლები)* ძირითადი თავისებურება იყო, ახალი კომუნისტური იმპერიის – საბჭოთა კავშირის შექმნა და სწრაფი გაძლიერება, ფაშისტური რეჟიმების დამყარება გერმანიასა და იტალიაში და იაპონიის ***მილიტარიზაცია***. სწორედ ამ სამი ქვეყნის აგრესიულმა პოლიტიკამ მიიყვანა მსოფლიო მეორე მსოფლიო ომამდე, რამაც ძალთა ახალი გადანაწილება დაამკვიდრა.



ნახ. 2.1.3. კოლონიური ქვეყნები. 1900 წელი



ნახ. 2.1.4. დემოკრატიის დონე მსოფლიოში

მეორე ქვეპერიოდი (1946-1991 წლები) ე.წ. „ცივი ომის“ პერიოდია, როცა მსოფლიო ორ პოლუსად არის გაყოფილი: ერთ მხარესაა საბჭოთა კავშირი და სხვა კომუნისტური რეჟიმის ქვეყნები (სოციალისტური სამყარო), მეორე მხარეს კი ამერიკის შეერთებული შტატები და განვითარებული ქვეყნები (კაპიტალისტური სამყარო). ამავე ქვეპერიოდისთვის არის დამახასიათებელი დეკოლონიზაციის პროცესი, როცა დამოუკიდებლობა მოიპოვა 120-ზე მეტმა ყოფილმა კოლონიამ. ქვეპერიოდის ბოლოს სოციალისტურმა სამყარომ არსებობა შეწყვიტა, ხოლო საბჭოთა კავშირი 15 სახელმწიფოდ დაიშალა.

მესამე ქვეპერიოდისთვის (1991 წლის შემდეგ) დამახასიათებელია მსოფლიოში აშშ-ის წამყვანი როლი, ევროკავშირისა და ჩინეთის სწრაფი განვითარება, საერთაშორისო ორგანიზაციების მნიშვნელობის ზრდა, ბრძოლა ტოტალიტრიზმის წინააღმდეგ და სხვ.

დავალება

1. ჩამოთვალეთ ის რეგიონები, რომლებიც გამოირჩევიან დემოკრატიის დონით (ნახ. 2.1.4-ის მიხედვით).
2. შეადგინეთ ცხრილი, რომელშიც ქრონოლოგიურად იქნება ნაჩვენები მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე მომხდარი ცვლილებები.

კითხვები

1. რა ძირითადი განსხვავებაა ძველი და შუა საუკუნეების მსოფლიოს პოლიტიკურ რუკას შორის?
2. რა თავისებურებებით ხასიათდება ახალი პერიოდის მსოფლიოს პოლიტიკური რუკა?

ეს საინტერესოა:

• მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა მსოფლიოში ორი პოლუსი – აშშ და საბჭოთა კავშირი გამოიკვეთა, აშკარა გახდა, რომ ევროპის ვერც ერთი ცალკე აღებული სახელმწიფო მათ მეტოქეობას ვერ გაუწევდა. ამიტომ ევროპის ზოგიერთი ქვეყნის (პირველ რიგში საფრანგეთის) მმართველ წრეებში გაჩნდა იდეა გაერთიანებული ევროპის – ე. წ. „ევროპის შეერთებული შტატების“, როგორც მსოფლიოში ძალის მესამე პოლუსის შექმნის შესახებ. სწორედ ამ იდეის რეალური ხორცშესხმა იყო ევროპის ეკონომიკური გაერთიანების – საერთო ბაზრის დაარსება, რომლის წევრთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა. იგი დღეს 27 წევრისაგან შემდგარ ზესახელმწიფოებრივ ორგანიზაციას – ევროკავშირს წარმოადგენს.



ნახ. 2.1.5. ევროკავშირის ქვეყნები

წმ-დან (შოვის მიდამოები) 8.6 მ/წმ-მდე (მთა საბუეთი, ლიხის ქედი). ქარის მაქსიმალური სიჩქარე ფიქსირდება ზამთარში, ხოლო მინიმალური – ზაფხულში. ამგვარი ვითარება რეგიონის ზღვებზე და მიმდებარე ხმელეთზე წნევის დიდ სხვაობას უკავშირდება. ძლიერი ქარი, რომლის სიჩქარე აღემატება 16 მ/წმ-ს, ძირითადად დასავლეთური ან აღმოსავლეთურია. მისი სიჩქარე კიდევ უფრო იზრდება ქედების თხემურ ნაწილში, სადაც მას ქარიშხლის სახე აქვს. მაგალითად, ქარის სიჩქარე მყინვარწვერის მიდამოებში 60 მ/წმ-ს აღწევს.

კავკასიის გეოგრაფიული მდებარეობა ხელსაყრელ გარემოს ქმნის ცოცხალი ორგანიზმების განვითარებისათვის და ადამიანის ფიზიოლოგიური პროცესებისათვის. ცნობილია, რომ თუ **მზის დაცემის კუთხე** 30^0-ზე ნაკლებია, ადამიანს ეწყება „ულტრაიისფერი შიმშილი", რაც მის ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის მოშლას განაპირობებს. სამხრეთ კავკასიაში მზის ამგვარი მდებარეობა მცირე დროით, მხოლოდ ზამთარში აღინიშნება. მარტიდან სექტემბრის ჩათვლით, მზის დაცემის კუთხე 50^0-ს აღემატება, რაც ბიოლოგიური აქტივობისთვის ძალზე ხელსაყრელია. ამის გამოა, რომ რეგიონში ფართოდ არის გავრცელებული სითბოსმოყვარული კულტურული მცენარეულობა – ვაზი, ბამბა, ციტრუსები და სხვა.

შავი ზღვა ბიჭვინთის სანაპირო ზოლში

შავი ზღვის **წყალი სხვადასხვაგვარი შეფერილობისაა**, რაც მდინარეთა შენაკადებს უკავშირდება. იგი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილში მომწვანო-მოლურჯოა, ხოლო ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში – იასამნისფერი-მომწვანო. ზღვის წყალი მდინარეთა შესართავებთან და სანაპირო ზოლში ხშირად იცვლის ფერს. იგი ხან მოყავისფრო, ხან ლურჯი ან მოთეთრო, ხანაც კი მოყვითალოა. ცვალებადია ზღვის წყლის გამჭვირვალობაც. იგი სიღრმეში 25 მეტრს აჭარბებს, სანაპირო ზოლში კი 4-5 მეტრს არ აღემატება.

თუშეთის დაცული ტერიტორიები.

კავკასიის ტყეებს სხვადასხვაგვარი **ეკოლოგიური ანუ გარემოსდაცვითი** მნიშვნელობა აქვს. მათგან ძირითადია წყლისა და ნიადაგდაცვითი, კლიმატის გამაჯანსაღებელი და სანიტარული ფუნქცია. ამგვარი ფუნქციები უკავშირდება მთიან რელიეფს, მდინარეთა სანაპიროებს და მსხვილ დასახლებულ პუნქტებს. მთიანი რელიეფის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ნიადაგდაცვით ფუნქციას, ქალაქების ირგვლივ – კლიმატის გამაჯანსაღებელ და სანიტარულ ფუნქციას, ხოლო მდინარეების გასწვრივ – წყალშემქმნელ ფუნქციას. ტყის მცენარეულობის დაცვის მიზნით, იქმნება დაცული ტერიტორიები (ნაკრძალები, ეროვნული პარკები და სხვა), მწვანე და წყალდაცვითი ზონები. მათ კანონი იცავს.

კავკასიის **ცოცხალი სამყაროს მრავალფეროვნება** რამდენიმე ფაქტორით არის განპირობებული. მათგან ერთერთია სახეობათა მიგრაცია, რამაც რეგიონი მსოფლიო მნიშვნელობის ბიოლოგიურ „კვანძად" აქცია. კავკასიაში ჩრდილოეთიდან „შემოსახლდნენ" ევროპისთვის დამახასიათებელი ცოცხალი ორგანიზმები, დასავლეთიდან – ხმელთაშუაზღვიური, აღმოსავლეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან – ირანული და შუაზიური, ხოლო სამხრეთიდან – წინააზიური და უდაბნოებისთვის დამახასიათებელი სახეობები.